

სულტრიმი პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელი ცხოველები.

შემადგენლობა

1გ ფხვნილი შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს: სულფამეტოქსაზოლს 200 მგ; ტრიმეტროპრიმს 40 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ლაქტოზა

გარეგნული აღწერა: ერთგვაროვანი ფხვნილი თეთრი ან მონაცრისფრო-თეთრი ფერის დამახასიათებელი სპეციფიური სუნით.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატი წარმოადგენს კომბინირებულ ანტიმიკრობულ საშუალებას, რომლის მოქმედება განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების სულფამეტოქსაზოლისა და ტრიმეტროპრიმის თვისებებით, მათი სინერგიული ეფექტი პრეპარატის ბაქტერიციდული მოქმედების ფართო სპექტრს გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების (მ.შ. *Streptococcus* spp., *Staphylococcus* spp., *Streptococcus pneumoniae*, *Enterococcus faecalis*; *Brucella* spp., *Chlamydia* spp.; *Escherichia coli* (ენტეროტოქსოგენური შტამების ჩათვლით), *Salmonella* spp., *Shigella* spp., *Pasteurella* spp., *Bordetella pertussis*, *Proteus* spp., *Enterobacter* spp., *Klebsiella* spp., *Pseudomonas* ზოგიერთი სახეობა; *Listeria* spp.) საწინააღმდეგოდ, პრეპარატი ასევე ეფექტურად მოქმედებს უმარტივესების (*Plasmodium* spp., *Toxoplasma gondii*) და ზოგიერთი პათოგენური სოკოების (*Mycobacterium* spp., *Actinomyces israelii*, *Coccidioides immitis*, *Histoplasma capsulatum*, *Leishmania* spp.) მიმართ.

სულფამეტოქსაზოლი ავლენს ბაქტერიოსტატიკულ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია ბაქტერიულ უჯრედებში პარამინო-ბენზოის მჟავის უტილიზაციის დარღვევასთან და დიჰიდრო-ფოლის მჟავის სინთეზის ინჰიბირებასთან. ტრიმეტროპრიმი იწვევს ბაქტერიის დიჰიდროფოლატრედუქტაზას შექცევად ინჰიბირებას-ფერმენტის, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ფოლის მჟავას მეტაბოლიზმში, სადაც ახდენს დიჰიდროფოლატის გარდაქმნას ტეტრაჰიდროფოლატად. სხვადასხვა პირობებში შესაძლოა განვითარდეს ბაქტერიოციდული ეფექტი. ამგვარად, ტრიმეტროპრიმი და სულფამეტოქსაზოლი

ბლოკავენ პურიებისა და შესაბამისად ნუკლეინური მჟავების ბიოსინთეზს, რომლებიც აუცილებელია ბაქტერიების გამრავლებისა და ზრდისთვის.

პრეპარატის პერორალურად მიღების შემდეგ აქტიური ნივთიერებები კარგად და სწრაფად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, აღწევს ორგანიზმის ყველა ორგანოებსა და ქსოვილებში. მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა 2-3 საათში და ნარჩუნდება თერაპიულ კონცენტრაციებში გამოყენების შემდეგ 24 საათის განმავლობაში. პრეპარატი ნაწილობრივ მეტაბოლიზდება და გამოიყოფა ორგანიზმიდან ძირითადად თირკმელიდან (უცვლელი სახით 60-80%-ით) - შარდით, ნაწილობრივ ნალველიდან, ნერწყვით და რძით.

ცხოველის ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით, პრეპარატი მიეკუთვნება ნაკლებად საშიშ ნივთიერებებს (სახელმწიფო სტანდარტით, საშიშროების კლასი 4), რეკომენდებული დოზებით მას არ გააჩნია მასენსიბილიზებული, ემბრიოტოქსიური, ტერატოგენული და მუტაგენური ეფექტი.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი „სულტრიმი 240“ გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ბოცვერის და შინაური ფრინველის ბაქტერიული ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომელთა აღმძვრელებიც პრეპარატის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებია. კერძოდ, სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, საშარდე გზების და სასქესო ორგანოების ბაქტერიული ინფექციების, ასევე ვირუსული დაავადებებით გამოწვეული მეორადი ინფექციების, კანის და რბილი ქსოვილების ინფექციების (აკნე, ფურუნკული, აბსცესი, პიოდერმია; ჭრილობისმიერი ინფექციები), პროტოზოული ინფექციების (კოქციდიოზის) სამკურნალოდ. მათ შორის:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის _ დიარეის, სალმონელოზის, პასტერელოზის, პნევმონიის, სტაფილოკოკებით გამოწვეული აბსცესის, შარდსასქესო ორგანოების ინფექციების, მასტიტის;

ღორის - კოლიბაქტერიოზის, ატროფიული რინიტის, სალმონელოზის, პასტერელოზის, ტოქსოპლაზმოზის, ჰემოფილოზური პლევროპნევმონიის, წითელი ქარის;

ბოცვერის - კოკციდიოზის, სალმონელოზის, სტაფილოკოკოზის;

შინაური ფრინველის - კოკციდიოზის, პასტერელოზის, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის, სტაფილოკოკოზის, ინფექციური სურდოს დროს.

გამოშვების ფორმა: 250 გ

გამოყენების წესი, დოზირება

პრეპარატი მიიღება პერორალურად, საკვებში შერევით ან წყალში განზავებით შემდეგი დოზებით:

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ღორს, ფრინველს და ბოცვერს:

წყალში განზავებით: პირველ დღეს - 1გ ფხვნილი 1ლ სასმელ წყალში გახსნილი, ხოლო მომდევნო 2-3 დღის განმავლობაში 0,5გ/ლ სასმელ წყალთან ერთად ან

საკვებში შერევით: პირველი დღე 2გ ფხვნილი 1კგ საკვებში შერეული, ხოლო მომდევნო 2-3 დღის განმავლობაში 1გ/კგ საკვებთან ერთად.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ ფიქსირდება.

პრეპარატის მიმართ ძალღს, კატას და ღორს სულფანილამიდის მიმართ გაზრდილი მგრძობელობის გამო შესაძლებელია განუვითარდეს ლებინება, მადის დაკარგვა, დიარეა, პოლიართრიტი, კანზე ალერგიული რეაქციები, ამ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

უკუჩვენებები

პრეპარატისადმი მაღალი მგრძობელობა, მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდი; ზრდასრული მცოხნელებისათვის პრეპარატის მიცემა არარეკომენდირებულია. პრეპარატის მიღება უკუნაჩვენებია სისხლმზადი ორგანოების (ანემიის), ღვიძლის (მწვავე ჰეპატიტი) და თირკმელების (ნეფრიტი) ფუნქციის მძიმე დაზიანებების დროს. პრეპარატის ხანგრძლივად გამოყენებისას საჭიროა სისხლის სურათის შემოწმება.

შეუთავსებლობა სხვა პრეპარატებთან

არ ეთავსება სხვა ანტიბიოტიკებს, კოქციდიოსტატებსა და პარამინოზომოქსაჟისა და მისი ეთერების (პროკაინი, ტეტრაკაინი) მსგავს პრეპარატებს. პრეპარატი არ მიიღება ჰექსამეთილენის ტეტრამინთან (მეთამინთან) კომბინაციაში.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმანშევის ქ #8